

110/2
1937

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

სიბუნების



N11



საბავშვო ჟურნალი
1937 წ.

კომუნარი



წვლიწადი მეთორმეტი

მარქსული

საქ. აღკვ ცენტრალური კომიტეტი

საქ. განსახკომის ერთობიური შუკნალი

ნომერე 1937 წ.

№ 11

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ვამოც. — „კომუნისტი“ რედაქციის მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

შინაასი

	83-
1. ნ. მთოვი (წერილი)	1
2. დავდაკიანი კლავდია, — ნანადირევი (მოთხრობა)	2
3. ჭუთელია აკოლონ, — ჩვენი ბალი (ლექსი)	4
4. მაკინანოვილი შალვა, — სამი ათასი წლის წინათ (ნარკვევი)	3
5. ნონოვილი იოსებ, — სიმღერა ფრიადოსან გოგონაზე (ლექსი)	8
6. ჩიკვაძე ვ. — მზისა და დედამიწის შვილი (ნარკვევი)	9
7. ა-ში მ. — ი. გონჩაროვი (წერილი)	13
8. ურუშაძე ნადია, — ქალო, კრიფე ნარინჯი! (ლექსი)	14
9. ქახიანი ვლ., — დათვი (ნარკვევი)	15
10. განსართობავი	16
11. პასუხები ჟურ. „კომუნარი“ს № 9-ში მოთავსებულ გასართობებზე გარეკანის მე-3 გვერდზე	

შურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ

პასუხისმგებელი რედაქტორი ელ. აგლაძე

პ/შ. მღვივანი არჩ. დავთიანი.

პოაელიტი 10546

შეკვ. 967

ტირაჟი 28.000

სტამბა „კომუნისტი“ კაბოს ქ. № 68

ნ. ეჟოვი

2021

ამხანაგი ნ. ეჟოვი დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლია. იგი ლენინ-სტალინის პარტიის საუკეთესო შვილთა დიდ ოჯახს ეკუთვნის.

ამხანაგი ნ. ეჟოვი შეუდრეკელი ბოლშევიკის მაგალითს წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ერთერთი ორგანიზატორი, საბჭოთა დიდი ხალხის ღვიძლი შვილია.

მას შემდეგ, რაც ამხანაგი ეჟოვი სათავეში ჩაუდგა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, მან ღირსეულად დაიწყო სახელოვან ფელიკს ძერჟინსკის ტრადიციების გაგრძელება; მისი თაოსნობით შინსახკომი გადაიქცა რევოლუციის ერთგულ დამცველად, ხალხის მტრების წინააღმდეგ ამოწვდილ ხმლად. სახელოვანმა შინსახკომელებმა, რომელნიც საბჭოთა დიდი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით და მძლავრი მხარდაჭერით სარგებლობენ, ნ. ეჟოვის მეთაურობით უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ხალხის მტრების, სამგზის წყეული ტროცკისტ-ბუხარინული ჯაშუშებისა და გამცემლების, დივერსანტებისა და ტერორისტების, საერთაშორისო ფაშიზმის აგენტების გამოსამქლავებლად და აღმოსაფხვრელად.

ამხანაგ ეჟოვის მეთაურობით სახელოვანმა შინსახკომელებმა გაანადგურეს და ამოწვეს მტრის ბუდეები და წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას ნადირალებთან.

ნ. ეჟოვი დაიბადა 1895 წ. ქ. ლენინგრადში. 14 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მუშაობდა ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებში. აუტანელი არაადამიანური შრომა უსაზღვრო აღშფოთებას და ზიზღს იწვევდა მასში. ახალგაზრდობიდანვე მასში იღვიძებდა რევოლუციური შეტევისა და ძველი სამყაროს დანგრევის შეგნება.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის პერიოდში, ძველი ფეოდალური კაპიტალისტური სამყაროს აფეთქების პერიოდში, ნ. ეჟოვი შედის ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში. პარტია ამხ. ნ. ეჟოვს, როგორც ერთერთ აქტიურ, მშრომელთა ინტერესების ერთგულ დამცველს, აგზავნის სამოქალაქო ომების ფრონტებზე სამხედრო კომისრად. სამოქალაქო ომში ამხანაგი ეჟოვი ღირსეულად ასრულებს პარტიის მითითებებს: იგი შეუდრეკელი



ენერგიით იცავდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მონაპოვარს თეთრგვარდიელებისა და კაპიტალისტების შემოტევისაგან.

1921 წლიდან ამხანაგი ნ. ეჟოვი სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზულ ფერხულშია ჩაბმული. იგი მუშაობს პარტიის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

სოციალისტური სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, კონტრრევოლუციისა და ხალხის მტრებთან შეუბრალებელი ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა იგი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

საბჭოთა კავშირის დიდი ხალხები ხედავენ, რომ ნ. ეჟოვი პარტიის ერთგული შვილია, და ამიტომაც, რომ ისინი თავისი მაღალი ნდობით მოსავენ დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლს.

ბიბლიოთეკის
წილის
185

ნანადირვე

—მაშ ეს შენი პირველი ნადირობაა?—ლიმილით მეკითხება ჩემი მოხუცი თანამგზავრი.

—სწორედ პირველი ნადირობაა.

—ხე! ხე! ხე!—უცნაურად ჩაიხიხითა სარიდანმა.—მაგონდება ჩემი პირველი ნადირობა, —ჩაილაპარაკა ფიქრში წასულმა. ვიგრძენ, სარიდანი შორეულ ამბავს იგონებდა, ხელი არ შეეუშალე მოხუცს.

კვლავ ნელის ნაბიჯით მივყვებით ბილიკს, ხელით ვარღვევ ამწვანებულ ტოტებს, მზრუნველობით ვიცილებ მათ ალერსს.

—გივლიათ ოდესმე მთის ბილიკზე, ამწვანებულ ხეებს შორის, როცა მზის პირველი სხივები ფანტავს დილის ნისლს, როცა ჩიტების ჟრიაბული იპყრობს ბუნებას, როცა ყოველი ხე, ყოველი ბალახი, ყოველი სულდგმული უსმენს ბუნების მხიარულ მეჯლისს? მხოლოდ ხანდახან თუ გაიქროლებს ცელქი სიო, ხეებს წასჩურჩულებს, მსწრაფლ იგრძნობს ჩიტები მჯობნიანო და გაიტვრინება.

—დავსხდეთ, —წაილაპარაკა ფიქრში წასულმა სარიდანმა. ჩანდა, მოხუციც მოეხიბლა ფრინველების ჟივილ-ხივილს.

ჩვენ ჩამოვსხედით.

რა წარმტაცი იყო ამწვანებული მინდორი, ყვავილებით აფერადებული მდელო! მე დამენანა მისი შეხება. ვიგრძენი, როგორ მოიხარა თავი მწვანე ბალახმა ჩემი სიმძიმის ქვეშ. თითქოს მათი კვნესა მომესმა.

ჩვენ ვუსმენდით ჩიტების კონცერტს, ათას ხმას, ათას ჰანგს, შეთანხმებულ ჟივილ-ხივილს.

—ასე იყო ყოველთვის, ასე იყო წინათ, ჩემი პირველი ნადირობის დროს, ასეა ახლაც, შენი ნადირობის პირველ დღეს, ასე იქნება შემდეგაც, მრავალი წლის შემდეგაც, —ნაღვლიანად ჩაილაპარაკა სარიდანმა. მოხუცს ახარებდა ბუნების გაზაფხული, მაგრამ თავისი ცხოვრების მოგვიანებული ზამთარი კი მწარე ფიქრებში ხვევდა.

წითლად შეღებილი მთის წვერები განათდა, მზემ თავისი უხვი სხივები მოჰფინა მიდამოს. დამთავრდა დილის მეჯლისი. ჩვენც ნელის ნაბიჯით განვაგრძეთ გზა.

—ეს ადგილი არასდროს დამავიწყდება, —შეჩერდა სარიდანი მოჩუხჩუხე მთის წყაროსთან. ვიცოდი, მოხუცი ამას ამბავს მოაყოლებდა, გავიტვრინე.

—აქ წინათ კარავი მქონდა, ცხოვრებას აქ ვატარებდი. სხვა იყო, ბიძიკო, ძველი დრო. ახლა შენთვის ნადირობა გასართობია, მაშინ კი ჩემი მაცხოვრებელი ნადირობა იყო, უკუღმართ ცხოვრებიდან გამოქცეული ტყეს ვაფარებდი თავს. ძველი დრო, შავბნელი ხანა, პირტუცყვივით თავჩაღუნული ადამიანების უბრალო პროტესტსაც კი ვერ ითმენდა. მე კი სისხლში და ხორცში მქონდა გამჯდარი მეძალებისადმი სიძულვილი... აი ეს ტყე თავისი ხშირი ფოთლებით ბევრჯერ გადამარჩენდა ხოლმე მათრახების სუსხს.

ჩვენ ჩამოვჯექით წყაროს პირს.

—ახლა რა გიშავთ, შვილსო, —განაგრძო სარიდანმა. —მთაც თქვენია და ბარიც, ქალაქიც და სოფელიც, ტყეც და ველიც. გული მტკივა, ჩემი ახალგაზრდობა ტყეს შევალე. ახლა უჯანო მოხუცი დავიბრუნდით. მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, უსიხარულოდ არ დაილია ჩემი დღეები. ჩემი გული კვლავ ჭაბუკობს ბედნიერი ცხოვრებით გახალისებულს...

—სხვას შევეყვი, მინდოდა შენთვის ძველი ამბავი მეამბა. ჰო, იქიდან დავიწყე. აქ, ამ წყაროსთან, კარავი მქონდა გაკეთებული: ახალგაზრდა ჭაბუკი ვიყავ, თავი ამ ტყეს შევაფარე, ჩემი ცხოვრების ტანჯვა და სიხარული აქ გადმოვიტანე. მეტად მიჰირდა უადამიანოდ ცხოვრება. ხანდახან მონადირეები თუ გაათვდნენ ჩემთან ლამეს, და მეც, ადამიანს დანატრულებული, მთელ ლამეს არ დავიძინებდი, ყურს ვუგდებდი ქვეყნის ამბავს, ცხოვრების წყურვილს მით ვიკლავდი. ახალგაზრდა ვიყავი, ჯანღონითსავსე, ცხოვრება მწყუროდა, ხალხს შევნატროდი, მაგრამ სოფელი წამართვეს, ცხოვრება მომტაცეს. წლები წლებს მისდევდა, დღეები დღეებს, მე კი მაინც ტყეში ვიყავ, მარტოდმარტოდ, უადამიანოდ.

მარტოობით თავგაბეზრებული ვიჯექი ცეცხლის პირს. კარგახანია სანადიროდ აღარავინ ამოსულიყო ეს ის დრო იყო, როცა ყოველი ცხოველი ზამთრის ბუნავს ეძებს. იქ, სოფელშიც ხალხი მუშაობს, ვფი-

ქობდი მე,—ზამთრისათვის სარჩოს ინახავს. განდე-
გილივით ქვეყანას მოშორებული წავსულვარ ფიქ-
რებში და ხშირად მომგონებია მოხუცი დედა, აოხ-
რებული სახლკარი, ჩამქრალი კერა. იმ დროს სევ-
და გულს მიკრუნჩხავდა, ბოლმა მახრჩობდა, სისხლი
მაწვებოდა ყელში. მზად ვიყავი იმ წუთში გამესრი-
სა ყველა ჩემი მტერი, მაგრამ ჩემი მარტოობა ისევ
მაწყნარებდა და დამშვიდებული ვუყურებდი, რო-
გორ ეხვეოდნენ ცეცხლის ენები მძიმე კუნძებს.

ბინდი ჩამოწვა. კარავს მარტო ცეცხლის ალი-
ლა ანათებდა. „სალამოს ბინდი სევდას ადიდებსო“
—იტყოდა ხოლმე საწყალი დედაჩემი. მეც ისე შე-
მომამწვა სევდა გულზე, თითქოს უქმური მიხუთავდა
სულს.

უეცრად ჩემი კარავის წინ საშინელი ღრიალი
გაისმა. მე უნებურად შევეკრთი. წამოხტომა ვერ მო-
ვასწარი, რომ ვეებერთელა დათვი შემოვარდა. მისი
წვრილი თვალები დამფრთხალი გამოიყურებოდა.
მე შემაკრთო უზარმაზარი მხეცის ჩემს კარავში გა-
ჩენამ. საბრძოლველად მოვემზადე, მაგრამ დათვმა
ყურადღებაც არ მომაქცია, დაიბურღლუნა, მთელი
ტანით მიაწვა კარებს. მე გამაოცა მისმა საქციელმა.
გარედან საშინელი ყმუილი მოისმოდა. ვიგრძენ, და-
თვის შიშის საგანი გარეთ იყო, მას ჩემთვის არ ეც-
ალა. კარავის ჭუჭრუტანას ავეკარ, გავიხედე. მშიერ-
ი მგლების ხროვა მოსდგომოდა კარავს, ყმუო-
დნენ, თვალებიდან ცეცხლს ყრიდნენ. დათვს თვა-
ლები ვედრებით ჩემკენ მოუპყრო, რალაცას უცნაუ-
რად ბურღლუნებდა, თითქოს მეუბნებოდა—მიშვე-
ლე, მისხენი ამათ კლანჭებიდანო.

შემაკრთო დათვის ვედრებით ცქერამ. ამ
მხეცში თითქოს ჩემი წარსული ცხოვრების მოზიარე
დავინახე. მეც ესე მომდევდნენ და, ვინ, იცის, თავი
ტყისათვის რომ არ შემეფარებინა, ახლა ჩემი ძელებიც
ალარ იქნებოდა. მგლების მაგიერ ახლა მე ჩემს მტრებს
გხედავდი. მინდოდა გავვარდნილიყავი, შევბრძო-
ლებოდი მგლების ხროვას. კარისაკენ გავიწვი,
მაგრამ დათვმა გულმოსულად შემომიბღვირა: მას
ჩემი შიშიც აწუხებდა, თუ რამეს ვაგებდავდი, თავ-
დაცვაზე უარს არ იტყოდა. მე ამან გამომარკვია,
უშედეგო ცდაზე ხელი ავიღე. კუთხეში მიყუდებულ
თოფს ვსტაცე ხელი. დათვი თვალს არ მაცილებდა.
ჭუჭრუტანას მივვარდი, თოფის ლულა შიგ გავყავი,
მგელი მიზანში ამოვიღე. იგრილა თოფმა, მგელმა
სისხლში დაიწყო ცურვა. მე თავისუფლად ამოვი-
სუნთქე. ისე მიამა, თითქოს ჩემი საკუთარი მტერი
მომეკლას. დათვს თვალები გაბრწყინებოდა, აღტა-
ცებით მებურღლუნებოდა, ხანგამოშვებით კარში
აღამიანივით იჭვრიტებოდა. მე თოფს დავუწყე ტე-
ნა. ხანდახან გავიხედავდი გარეთ და ვუყურებდი,
მგლები როგორ სძიძნიდნენ თავიანთი ამხანაგის
ჯერ ისევ თბილ გვამს. მგლების ეს ჩვეულება უფრო
მალეღვებდა. მინდოდა ყოველი მათგანის სისხლი
დამეღვარა. კვლავ მიზანში ამოვიღე. ახლა მეორემ
დაიწყო ფართხალი. ვერ წარმოიდგენ, დათვს თან-
დათან რარეგად ემატებოდა სიხარული. რამდენიმე



მგელი გამოვასალმე წუთისოფელს. დანარჩენებმა
იგრძნეს საშიშროება და მგლური ძუნძულით გაუდ-
გნენ გზას.

კმაყოფილი დათვი წამოვიდა კერისაკენ, შინაუ-
რივით წამოსკუპდა ცეცხლთან, ისეთი მადლიერი
თვალით შემომცქეროდა, ახლაც თვალწინ მიდგა
ის თვალები. არასოდეს არ დამავიწყდება, რამდენ-
ი მადლობა, რამდენი ბედნიერება გამოიხატებოდა
მასში.

— ჰა, დათვო, კმაყოფილი ხარ? მივმართე ღი-
მილით. შემომხედა, რალაც ღიმილის მაგვარი ვადა-
ეკრა სახეზე, თვალები აუციმციმდა, კმაყოფილმა
თავისებურად შემომბურღლუნა. ეს იყო უდიდესი
მადლობა, მადლობა დაჩაგრულისა და სიცოცხლის
წყურვილით აღსავსე არსებისა.

სარიდანი ჩაფიქრდა. დიდხანს, დიდხანს ღუ-
მდა.

— მერე, მერე, სარიდან, რა იქნა შენი დათვი?

— ჰო, კმაყოფილად ჩაიხითხითა მან,—დათვმა
ის ზამთარი ჩემთან გაატარა. ჩვენ ერთმანეთს ძალ-
ზე შევეჩვიეთ. თითქოს ერთმანეთის ენაც გვესმოდა.
მე ალარ ვგრძნობდი თავმომაბეზრებელ მარტო-
ობას.

გაზაფხულდა.

დათვმა გარეთ გაიწია. მეც გზა დავულოცე, ყე-
ლზე თეთრი საყელო შევაბი. ყველა მონადირეს
ვთხოვე ხელი არ ეხლო ჩემი მეგობრისათვის. გა-
დიოდა წლები. დათვი ყოველ ზამთარს ჩემთან ატა-
რებდა. ვბრუნდებოდი კარავში ნადირობიდან, ვხე-
დავ, წამოსკუპულა ჩემი დათვი და მელოდებდა. დამინა-
ხავს, თვალები გაუბრწყინებდა, ბურღლუნით შემო-
მეგებებდა.

ხანი გადიოდა.

ერთხელ, შუალამზე, კარავთან დაძახება მომე-
სმა.



- - კარგად გინადირიათ, — მივულოცე მე.
 — მაშ, მარჯვე ბიჭია ჩვენი დათა! — მხარზე ხელის დარტყმით, ღიმილით უთხრა ერთმა ახალგაზრდა კაბუკს.
 — ხედავ, ბიჭო, რა მსუქანია? — თქვა მეორე მათგანმა და დაიჩოქა დათვის წინ, — კაცო, ეს რა ამბავია?! — შეჰყვირა მანვე და დათვის დააშტერდა.
 — რა იყო?! — შეეყვირე მეც უანგარიშოდ.
 — ყელზე თეთრი საყელო აქვს!

ამ სიტყვებზე თითქოს თავში რაღაცამ დამკრა, შევკრთი, მუხლები ამიკანკალდა, დათვის წინ დავიჩოქე, აკანკალებული ხელი მოვუსვი საყელოზე, რამდენჯერმე გადაუსვი თავზე ხელი. მისი ღიად დარჩენილი წვრილი თვალები, უსიცოცხლოდ გაშტერებულნი, უკვე აღარ მიყურებდნენ.

ერთხანს იჯდა სარიდანი ჩუმად. დავაშტერდი სარიდანის სახეს და დავინახე, მის თვალს როგორ მოსწყდა ერთადერთი ობოლი ცრემლი, რომელიც ჩემ ფეხის მახლობლად გაყვითლებულ გამხმარ ფოთოლზე დაეცა. მერე წამოდგა, პეშვით სახეზე ცივი წყალი შეისხა, თითქოს წარსული დარდები მოიცილა და მხიარული ხმით მომმართა:

— აბა, ადექი, გზა გაგვიგრძელდა!
 ჩვენ კვლავ შევეუდექით მთის ბილიკს

— ეი, ეი, მასპინძელო, გაგვიღე კარი, ღამე გაგვათევიანე.
 მე კარის ურდულს ხელი გავავლე. კარავში ჩემთვის უცხო მონადირეები შემოვიდნენ.
 — გამარჯობა! — მხიარულად შემომძახეს მე.
 — თქვენც გაგიმარჯოთ, — მივესალმე მოსულებს და ნაღვერდალს დაეუწყე გამოქექვა.
 მონადირეებმა ძლივს შემოათრიეს ვეებერთელა დათვი. ალი ავარდა, კარავი განათდა.



მზე დამდგარა, ცვარ-ნამს აშრობს,
 აი ბაღიც, მოდით, ნახეთ!
 მზეში სიო დათამაშობს
 და სიამით ფოთლებს არხეც.
 როგორ ბზინავს ხავერდით
 მზის სხივებზე უხვი მოლი,
 მებადისგან გამოზრდილი,
 გაზაფხულის თანატოლი!
 ეკლნარ - ბარდი აღარ არის,
 მოუჭრიათ, ხელს არ სუსხავს,
 და ბაღს, როგორც ოქროს ცვარი,
 ყვავილები გამოუსხამს!

აპოლონ მუთელია



(წიგნიდან „ეგვიპტელები“¹).

„მკედართა ქალაქი“ ქურუმთა სამფლობელოა, უზარმაზარი ტაძრები მთებზე მდებარეობს ნილოსის მარცხენა ნაპირზე.

ყოველი ტაძრის შესავლიდან იწყება ვეება სფინქსების გრძელი ხეივანი. ხეივნის ბოლოს, მარჯვნივ და მარცხნივ, დადგმულია წითელი გრანიტის მაღალი სვეტები. ეს ობელისკებია. ობელისკი ოთხკუთხედიანია, ზევით თანდათან ვიწროვდება და პატარა პირამიდათი თავდება. ზოგი ობელისკის პირამიდა ოქროსაგანაა ჩამოსხმული. სარკესავით გაკრიალეზულ ობელისკის კედლებზე ამოჭრილია ჰიეროგლიფები — ეგვიპტური წარწერები. ჰიეროგლიფები მნახველთ მოუთხრობენ, ამათუიშფარაონმა რომელი ღმერთის სახელზე, როდის დაიწყო და დაამთავრა ტაძრის აგება.

ობელისკები მთლიანი ლოდისაგანაა გამოკვეთილი და ზოგის სიმაღლე ოცდათექვსმეტ მეტრს უდრის, ხოლო სიძიმიე ოცდახუთათას ფუთამდის აღის!

ოცდათექვსმეტმეტრიანი სვეტის გამოკვეთა კლდისაგან, მისი შელამაზება, წარწერების გაკეთება, მისი აღმართვა, რასაკვირველია, მეტად ძიმიე და სახიფათო სამუშაოს წარმოადგენდა და ბევრ მსხვერპლსაც იწირავდა დამონებულ ეგვიპტელებისაგან.

ობელისკების გვერდით დადგმულია ფარაონის ქანდაკებები, გამოკვეთილი ზოგი ვარდისფერი ქვისაგან, ზოგიც წითელი გრანიტისაგან. ქანდაკებებიც, როგორც ობელისკი, მთლიანი ლოდისაგანაა გამოკვეთილი და ზოგის სიმაღლე თექვსმეტ მეტრამდისაც კი აღწევს. ამ უზარმაზარ ობელისკებს და ქანდაკებებს დამონებული ხალხი დგამდა. ეს იყო ერთი ძიმიე სამუშაო ძველ ეგვიპტელთა საქმიანობაში.

ყოველი ტაძარი ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს. ზოგის კარები ბრინჯაოდანაა ჩამოსხმული და მისი ზედაპირი ოქროს სქელი ფურცლებითაა დაფარული. იატაკი დაგებულია წმინდა ვერცხლით. კედლები ოქროს ჩუქურთმებითაა დამშვენებული.

ჩუქურთმები ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი, კაკლის სიმსხო ბრილიანტები პატარა ვარსკვლავებივით ბრწყინავენ. დარბაზში დადგმულია ღმერთების ოქროს ქანდაკებები, მათ წინ კი — ოქროს ვეება თასი, რომელზედაც ყოველდღიურად ხდება მსხვერპლის შეწირვა.

დარბაზის ჰერი დაყრდნობილია უზარმაზარ სვეტებზე, რომელთა სიმაღლე ოც მეტრამდის აღწევს, სვეტები აჭრელებულია ჰიეროგლიფებითა და ღმერთების სურათებით. ტაძრების აგების დროს ეგვიპტელებს არ გააჩნდათ რაიმე მექანიკური ამწევი, მათ განკარგულებაში იყო მხოლოდ ბაწარი, ბორბალი და საკუთარი ძალა. ამ პრიმიტიული საშუალებით უნდა ეზიდათ 20—30 მეტრის სიმაღლეზე 100—200 ფუთიანი ლოდები. ხშირად ბაწარი ვერ უძლებდა ლოდების სიძიმეს, წყდებოდა და ადამიანთა მსხვერპლს იწვევდა. ვინ იცის, რამდენი სისხლი და ცრემლი დაღვრილა ამ ტაძრების აგების დროს...

ტაძრის დარბაზის უკან აშენებულია ოთახები. ოთახები ქურუმების საცხოვრებლადაა დანიშნული, ზოგში კი შენახულია მსხვერპლის შესაწირავი სურსათ-სანოვავე და მოწყობილია ლაბორატორიები. ლაბორატორიებში ქურუმები ქიმიურ ცდებს ახდენენ, სხვადასხვა სითხეს ამზადებენ. აქვე გახსნილია სკოლა, სადაც მოწაფეებს ასწავლიან გვამის ხელოვნურად გამოშრობას, ე. წ. მუმის დამზადებას. ამ საქმისათვის ისინი ხმარობენ ქიმიურ ნივთიერებებს, მაგრამ მათი შემადგენლობა მხოლოდ ქურუმებმა იციან. მოწაფეებს ეძლევათ უკვე დამზადებული ქიმიური ნივთიერებანი, რომლის საშუალებითაც გვამი ხელოვნურად უნდა გამოშროს. თუ რისგან მზადდება ეს ნივთიერებანი — ეს ქურუმთა საიდუმლოებაა...

ტაძრები სწორედ საარაკოა, ზოგიერთის სიგრძე 350 მეტრს უდრის, სიგანე — 100 მეტრს.

მაგრამ მნახველს უფრო აოცებს სახელგანთქმული ფარაონ რამხეს მეორეს სასახლე-ტაძარი თავისი უზარმაზარი ქანდაკებებით. ტაძრის შესავალთან აღმართულია რამხესის ოთხი ქანდაკება, რომლებიც კედელზეა მიყრდნობილი. ქანდაკებები გამოკვეთილია წითელი გრანიტისაგან და თვითულის სიმაღლე თვრამეტ მეტრამდის აღწევს. ქან-

¹ დასასრული. იხ. № 10.

² სფინქსი ერთგვარი ქანდაკებაა, რომელსაც თავი ადამიანისა აქვს, ხოლო ტანი ლომის. ზოგი ფიქრობს, რომ ეგვიპტელები სფინქსის სახით აზრსა და ძალას გამოხატავდნენ.

დაკებებს შუა, შესავლის თავზე დადგულია ღმერთის რას¹ ქანდაკება, თავზე მზის დისკოთი. რას მარჯვნივ და მარცხნივ კედელზე კვლავ რამზესია განსახიერებული.

*
**

ტაძრებს დიდი შემოსავალი აქვთ. მოსახლეობა ვალდებულია ყოველწლიურად გარკვეული გადასახადი გაიღოს ღმერთებისათვის მსხვერპლის შესაწირავად, უკეთ რომ ვთქვათ, ქურუმების ჯიბეების გასასქელებლად. გადასახადს ზოგი ნატურით იხდის: ხორბლით, ღვინით, ხორციით, ერბოთი, თაფლით და სხვა სანოვავით, ზოგიც ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ბეჭდებით.

გარდა საგადასახადო შემოსავლისა, ქურუმები მიწების დიდ ნაკვეთებს ფლობენ, რომლებზედაც ყმა-გლეხებსა და მონებს ამუშავებენ. ყავთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, აქვთ საკუთარი ქალაქები და დაბეები, სავაჭრო ხომალდები და სხვა. ყველა ეს უმთავრესად მიღებული აქვთ „შემოწირულების“ სახით, „სულის მოსახსენებლად“. ქურუმები ასწავლიან: ადამიანის სული უკვდავია, იგი მა-



რადიულად ცხოვრობს, მასაც ისეთივე ჭამა და სმა უნდა, როგორც სხეულს. შეწირული მიწა და ქონება ბოლოს თქვენვე მოგხმარდებათ, როცა ამ დროებითი ქვეყნიდან წახვალთ ოზირისის სამეფოში მარადიული ცხოვრებისათვის. რასაკვირველია, ცრუმორწმუნე ეგვიპტელებს ქურუმების სიტყვები სჯერათ და სიცოცხლეშივე სწირავდნენ ტაძრებს თავისი ქონების დიდ ნაწილს...

¹ რა ეგვიპტურად მზეს ეწოდება.

ყოველ ტაძარს აქვს საკუთარი დიდი ბედობები და საწყობები, სადაც ჭირნახულს ინახავენ. ქურუმები ჭირნახულით ვაჭრობას ეწევიან და არც მე ვახსოვდებათ თაკილობენ. როცა ნილოსს სვეტი წყლის მი არ მოაქვს და მცირე მოსავალია, გლეხთა ჯიბეებს გამოსაკვებად პური არ ჰყოფნის, იძულებულია მამართოს ქურუმებს და სთხოვოს ხორბალი სესხის სახით. ქურუმები აძლევენ, მხოლოდ პირობით: მოსავლის აღების დროს სესხი ერთიორად უნდა გადაიხადოს, მაგრამ თუ კვლავ ცუდი მოსავალი იქნა და გლეხმა ვერ შეძლო სესხის გადახდა, ქურუმი „ურჩ“ გლეხს ჯერ ჯარიმას შეაწერს, მერე კი ყმად მიჰყავს...

ქურუმებს „მკვდართა ქალაქში“ გახსნილი აქვთ მალაზიები, დუქნები, საყასბოები და სახელოსნოები. მალაზიებიდან მიცვალებულთა საჭიროებისათვის ყიდიან სხვადასხვა ნივთს, სამკაულებს, სურნელოვან სითხეებს, ყვავილების თაიგულებს, გვირგვინებს და სხვ.

*
**

„ცოცხალთა ქალაქის“ მოსახლეობის სწავლავანათლების საქმე ქურუმთა ხელშია. მასწავლებლებად უმთავრესად ქურუმები არიან. ქალაქში მრავალი სასწავლებელია გახსნილი, როგორც დაწყებითი, ისე სხვადასხვა სპეციალობისა. სპეციალურ სასწავლებლებში ასწავლიან: მედიცინას, ხუროთმოძღვრებას, მოქანდაკეობას, მხატვრობას, მუსიკას, გალობას და სხვ. აგრეთვე არის სპეციალური სასწავლებელი, სადაც ამზადებენ მომავალ მწერლებს-ხელამხედველებს.

მწერალი ფრიად საჭირო პირია ფარაონისა და ქურუმებისათვის. მას აუარებელი საქმე აქვს, როგორც ქალაქად ისე სოფლად. გადასახადების აკრეფა, მოსახლეობის სახელმწიფო ბეგარზე გაყვანა, მუშაობის განაწილება, სურსათ-სანოვავის გაცემა, სამუშაოზე თვალყურის დევნება—ყოველივე ეს მწერლების საქმეა.

ყველაზე მეტი საქმე სოფლის მწერალსა აქვს. იგი დიდი უფლებით სარგებლობს და სოფელში პირველ კაცად ითვლება; ყველა მოკრძალებითა და პატივისცემით ეკიდება. ეს ვასაგებიცაა, ვინაიდან გლეხობის ბედ-იღბალი მის ხელშია. მაგრამ სოფლის მწერალს უფლებებთან ერთად დიდი მოვალეობებიც ეკისრება და პასუხისმგებელია სოფლის საქმეებზე. საქმეები კი მას მთელი წლის განმავლობაში აუარებელი აქვს. ვიდრე ნილოსი აღიდგებას დაიწყებს, გლეხებს ყველა ჯებირი უნდა შეაკეთებინოს და გაამაგრებინოს, რომ მოვარდნილმა წყალმა მოსახლეობა არ დაზარალოს. თუ ვინმე დაზარალდა,—დახმარება უნდა აღმოუჩინოს. საერთოდ, ყოველდღიურად თვალყური უნდა ადევნოს ნილოსის აღიდგების მიმდინარეობას.

მოსავლის აღების დროს გლეხებს თავზე ადგია, გადასახადი პირდაპირ კალოდან მიაქვს. გლეხმა მოსავლის მეოთხედი ფარაონს უნდა მისცეს, თითქმის ამდენივე ქურუმებს მიაქვთ „ადგილობრივი ღმერთ-

თის შესაწირავად“. გლეხს მოსავალი უნახვერდებდა, ახალ მოსავლამდის პური არ ჰყოფნის, იძულებულია ისესხოს მემამულეებისაგან ან ქურუმებისაგან.

* *

ეგვიპტელებმა ყველაზე ადრე გამოიგონეს დამწერლობა. ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდის იცოდნენ დამწერლობა. მაგრამ პირველ ხანებში ეგვიპტური დამწერლობა იმდენად რთული იყო, რომ მისი პრაქტიკულად გამოყენება მეტიმეტად საძნელო საქმეს შეადგენდა. ეგვიპტელებს პირველად ანბანი როდი გამოუგონებიათ, ასოებამდის თანდათანობით მივიდნენ. მათი უძველესი დამწერლობა რებუსებს მოგვაგონებს. ისინი უფრო ხატავდნენ, ვიდრე წერდნენ.

როდესაც ეგვიპტელს უნდოდა რომელიმე სიტყვის ან აზრის წერილობით გადმოცემა, ხატავდა ისეთ სურათს, რომელიც მას შეესაბამებოდა. მაგალითად, თუ უნდოდა სიტყვა „მზის“ დაწერა, ხატავდა წრეს, ცენტრში წერტილს; თუ უნდოდა „ადამიანის“ დაწერა, ხატავდა ადამიანის ფიგურას; ბავშვის გამოსახატავად ხატავდნენ ადამიანის ფიგურას თითოთ პირში, მაგრამ ხმარებაში იყო ისეთი ნიშნები და სურათებიც, რომლებსაც გარეგნულად არავითარი მსგავსება არ ჰქონდა იმ სიტყვის ან საგნის სახელწოდებასთან, რომელსაც ის გამოხატავდა. მაგალითად, ერთი ლოტოსის ყვავილით აღინიშნებოდა სიტყვა „ათასი“, შევარდნით აღინიშნებოდა სიტყვა „მეფე“ და ა. შ.

ასეთი სურათები და ნიშნები, ანუ, როგორც ბერძნებმა დაარქვეს, ჰიეროგლიფები ხმარებაში შემოღებული იყო შვიდასი. ამდენი ჰიეროგლიფის შესწავლა და მათი პრაქტიკულად გამოყენება, როგორც მკითხველი ხედავს, ფრიად რთული საქმე უნდა ყოფილიყო. ამას ეგვიპტელებიც გრძნობდნენ. შემდეგ მათ გამოიგონეს ასოები და ამით თავის დამწერლობა შედარებით გააუმჯობესეს. ერთი რომელიმე ასოთი გამოხატავდნენ ამათუიმ საგნის სახელწოდებას. მაგალითად, სიტყვა „ხელს“ აღნიშნავდნენ ასო „დ“-ით, სიტყვა „ლომს“ ასო „ლ“-ით და ა. შ. მაგრამ ახალი დამწერლობა მაინც ძალიან რთული იყო. უფრო გვიან შემოიღეს ანბანური სისტემა. ამ საქმეში კი ეგვიპტელებს ფინიკიელები დაეხმარნენ.

მწერალს ყოველივე ეს უნდა სცოდნოდა, ამიტომ მწერლად გახდომა ეგვიპტეში არ იყო ადვილი საქმე.

* *

მეცნიერებისათვის დიდი ხნით სიბნელით იყო მოცული ეგვიპტური ჰიეროგლიფები. მათ ეგონათ, რომ ისინი ქურუმების რაღაც სიმბოლურ ნიშნებს შეადგენდნენ და რომ მათი ამოკითხვა მხოლოდ უკანასკნელთ შეეძლოთ.

ბევრმა სცადა ამოეკითხა ჰიეროგლიფები, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ისტორიკოსები თავის შრომებში, როდესაც უნდოდათ ეგვიპტის წარსულის გადმოცემა, ჰიეროგლი-



სოფლის მწერალი



ფებს გვერდს უგლიდნენ და უმთავრესად ეყრდნობოდნენ ბერძნულ წყაროებს—ჰეროდოტესა და სხვების შრომებს. მაგრამ ეს წყაროები არ იყო საკმარისი ეგვიპტის ისტორიის დასაწერად. გარდა ამისა ზოგიერთი წყაროს სინამდვილე ეჭვს იწვევდა და მისი გამოყენება არ შეიძლებოდა.

როდესაც ჰეროდოტე ეგვიპტის ისტორიას წერდა, ის უმთავრესად ქურუმებისა და მოსახლეობის ზეპირგადმოცემებს ეყრდნობოდა, საშუალება არ ჰქონდა ნათქვამი შეემოწმებინა, არც მან იცოდა ჰიეროგლიფების ამოკითხვა. ქურუმები მას ხშირად განზრახ ატყუებდნენ და ყალბ ცნობებს აწვდიდნენ. ამას თვით ჰეროდოტეც ამჩნევდა და ზოგიერთი ფაქტის სინამდვილეში არ იყო დარწმუნებული.

აუცილებლად საჭირო იყო გასაღების პოვნა, რომლის საშუალებითაც ჰიეროგლიფების „საიდუმლოებას“ ფარდა აეხდებოდა და ამით ეგვიპტის ისტორიის კარებიც ფართოდ გაიღებოდა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძებდნენ მეცნიერები ამ გასაღებს, არც შრომას, არც ცოდნას და არც უნარს არ ზოგავდნენ, რომ როგორმე მიეცნოთ მისი კვალი. ას ოცდათვრამეტი წლის წინათ ეს გასაღებიც აღმოჩნდა, მაგრამ სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად.

1799 წელს, როცა საფრანგეთის ჯარი გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის სარდლობით ეგვიპტეში შეიჭრა, დელტას მიდამოში ერთერთი სანგრის გათხრის დროს ფრანგები შემთხვევით წაადგნენ საკმაოდ მოზრდილს შავ ქვას, რომელსაც უცნაური ნიშნები და სურათები ამშვენებდა. ეს ჰიეროგლიფები იყო. ჰიეროგლიფების ქვეშ ამოჭრილი იყო ბერძნული წარწერა. ბერძნული წარწერა ფრანგებმა ადვი-



ჰიეროგლიფები

ლად ამოიკითხეს, მაგრამ უცნაურ წარწერას კი ვერაფერი გაუგეს. ბერძნულ წარწერაში მოხსენებული იყო ქურუმების დადგენილება ერთერთი ფარაონი-

სათვის ძეგლის აღმართვის შესახებ. ბერძნული წარწერითვე იყო აღნიშნული, ეგვიპტური წარწერის ამავე შინაარსისა არისო. ფრანგები მიხვდნენ, რომ მათ ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოაჩინეს, რომ ბერძნული ტექსტის დახმარებით შეიძლებოდა ჰიეროგლიფების ამოკითხვა. აღმოჩენილ ქვას სახელად რაზეტა დაარქვეს (რაზეტა ადგილის სახელია, სადაც ქვა აღმოჩნდა).

მეცნიერებმა ბევრჯერ სცადეს რაზეტას ქვიდან ეგვიპტური ჰიეროგლიფების ამოკითხვა, მაგრამ ვერ შეძლეს. მისი აღმოჩენიდან მხოლოდ ოცდასამი წლის შემდეგ ამოიკითხა ჰიეროგლიფები ახალგაზრდა ფრანგმა მეცნიერმა ფრანსუა შამპოლიონმა.

რაკი ჰიეროგლიფების „საიდუმლოებას“ ფარდა აეხადა, ამის შემდეგ უკვე ადვილი გახდა ეგვიპტური უძველესი ძეგლების მეცნიერულად შესწავლა.



არ უნახავს მათრახების თარეში,
ნორჩის გულში სიხარული მოგორავს.
დაიბადა საბჭოების მხარეში
და გამხდარა ფრიადოსან გოგონად.

ვიდრე სხივი ლურჯ კაბადონს ეწვევა,
ცა გახდება მარმარილოდ ნაკვეთი,
გული ოქროს აკვანივით ერწვევა
და ბეჯითად იმეორებს გაკვეთილს.

აუსრულდა ფიქრი უნეტარესი,
დაეწაფა სიბრძნით საესე მათარას,
დედა შუბლზე გადაჰკოცნის ალერსით
და სკოლისკენ გაისტუმრებს პატარას.

ქარვისებურ სხივთა სინარნარეში
ნორჩის გულში სიხარული მოგორავს,
დაიბადა დიდ სტალინის მხარეში,
ეძახიან ფრიადოსან გოგონას.

იოსებ ნონეშვილი



მზისა და ღამის შვილი



მეორე მხარე

ბორკილმა გაიჩხარუნა ჯორდანოს ხელებზე. მან უკან გადაიტანა ვიწრო ბეჭები, მისი ხმა უცებ კვლავ ომახიანი გახდა და შიგ სახეში მიაყვირა პაპის მოგზავნილ წარჩინებულ სინიორ მარის:

— გადაეცით... გადაეცით, რომ არ ძალმიძს მონანიება... არა მსურს! მე არაფერიც არ მაქვს უარსაყოფი, მე არც კი ვიცი რა ბრალს მდებენ. იქნებ იმას, რომ დედამიწა ერთ ადგილას არა დგას? მაგრამ ვანა მე და კოპერნიკმა ვაგუშვით ის მზის ირგვლივ სასერიროდ! ან, იქნებ, მე იმაში ვარ დამნაშავე, რომ შევიცანი სამყაროს უსაზღვროება? მაგრამ დადგება დრო, და ყველა დაინახავს იმას, რასაც ახლა მე ვხედავ და რასაც თქვენ ვერ ხედავთ თქვენი ბრმა თვალებით!

— ესაა შენი უკანასკნელი სიტყვა, შეშლილო? — შეაწყვეტინა მას მარიმ, რომელსაც ბრაზი ახრჩობდა.

— უკანასკნელ სიტყვას ჩემს მაგიერ შთამომავლობანი იტყვიან, — თითქმის რბილად მიუგო ჯორდანომ და კედლისაკენ მიიბრუნა სახე.

სევდიანად ამღერდა ანჯამები. გარედან დაივრიალა შეჭედულ კარზე უზარმაზარმა ბოქლომმა და ტუტალი მარტოდმარტო დარჩა. რამდენიმე წამს ის კიდევ იდგა კედელთან, მერე ნელნელა გადადგა ნაბიჯები, მივიდა კუთხეში დაგდებულ ჩალასთან და იმაზე დაეშვა.

მისი თვალები ჩაქრა, ფერმკრთალ სახეს მოსცილდა აღელვება. მას სახეზე ახლა მხოლოდ საშინელი დაღლილობა ემჩნეოდა. ის უძრავად იჯდა და ყურს უგდებდა, ყურებში როგორ წიოდა მყუდროება.

დღეს მეორე მხარე, უკანასკნელი დღეა. დღეს თავდება ვადა, რომელიც დაუდო „ყოველად მოწყალე“ პაპმა ჯორდანო ბრუნოს მწვალებლური შეცდომების მოსანანიებლად.

რა საშინლად მილოდავს დრო! ეს უკანასკნელი დღე ისე ვაგრძელდა, როგორც ჯორდანოს ორმოცდათორმეტი წლის სიცოცხლე, წინ კი გრძელი ღამეა! ეყოფა თუ არა ძალღონე, რომ ბოლომდის მტკიცე იყოს? ჯორდანო ბრუნოც ხომ კაცია და ყოველივე ის ახასიათებს, რაც საერთოდ ადამიანს:

მასაც ეშინია სიკვდილის, სიცოცხლე სწყურია და შეჭხარის თავის სამშობლოს ცხოველ მზეს.

ჯორდანომ სევდიანად ამოიოხრა და შეცივებულით აიჩეჩა მხრები. რარივ ცივა აქ! ნუთუ აუცილებელია ეს ნესტიანი სიცივე შეცვალოს მწველი ცეცხლის ხვეწნამ, რომელიც შთანთქავს ბრუნოს ტანისამოსს და გულამდისაც კი მიადწევს? სიცოცხლე, სიცოცხლე! რათა ხარ ესოდენ ძვირფასი ჯორდანოსათვის — ფილოსოფოსისა და ბრძენისათვის?



ფრთხილად, რომ არ გაეგონა ბორკილის ჟღარუნი, დააყრდნო ბრუნომ იდაყვები მუხლებზე და ხელებზე ჩამოდო თავი. ამდამ ის უკანასკნელად გადაათვალიერებს თავის სიცოცხლეს, ამ ღამეს ის მოგონებებში გაატარებს...

ეს მოხდა 1560 წელს. თვრამეტი წლის ჯორდანომ პირველად შეიგნო ძალა თავისი გონებისა, რომელსაც ყველაფერი აეჭვებდა, რის დაბტკიცებაც შეუძლებელი იყო. მან შებღალა ის, რაც უჭმინდეს, ეჭვითაა შეშინებული ითვლებოდა. განა შესაძლებელია, რომ ღმერთი ერთი იყოს და სამპირიოვანი? ბევრი დღე და ღამე მოანდომა ამაზე ფიქრს ჯორდანომ და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ეს ისევეა შესაძლებელი, როგორც იმგვარი ხის დანახვა, რომელსაც ფესვები ზევით აქვს, ფოთლები მიწაში და ისე იზრდება.

პირველი შეეჭვების შემდეგ მეორემ დააკაკუნა მის თავში, შემდეგ მესამემ, და მალე შეეჭვებითა მთელი წყება რიგში ჩადგა ჯორდანოს წინაშე და ყურადღების მიპყრობას მოითხოვდა. ჯორდანოს თავი არ დაუხრია მათ წინაშე, როგორც მოიქცეოდნენ ყველანი, ვისაც კი ჯორდანო იცნობდა. მაგრამ მან არავის არ გაუშხილა თავისი გონების მძლავრი მუშაობა. ჯორდანო ხომ მოჩხილად იყო წმინ-



და დომინიკეს მონასტერში, ეკლესია კი საშინლად სჯიდა, თუ შეეჭვდებოდნენ მისი მოძღვრების თუნდაც ერთი სიტყვის კეშმარიტებაში. მან მხოლოდ ჩუმად გამოიტანა წმინდანთა ხატები თავისი სენაკიდან. ერთხელაც როგორღაც ვერ შეიკავა თავი და წაუბუტბუტა ახალგაზრდა ბერს, რომელიც წიგნს კითხულობდა:

— შევეძლო უფრო კვიანური რამ მოგეხება.

წიგნის სათაური კი ასეთი იყო: „უჭმინდესის ქალწულის მარიამის შვიდ სიხარულზე“.

ამრიგად. წლითიწლობით, სხვების დაუხმარებლად ანიავებდა ჯორდანო თავის რწმენას და აქერინებდა მის ადგილს. და აი დადგა უბედნიერესი დღე მის ცხოვრებაში. ის ეზიარა თავისი დიდებული წინამორბედის სიბრძნეს და იგრძნო, რომ თვითონ მასაც სიბრძნე ჰქონდა. ამ დღეს ჯორდანომ ფარულად წაიკითხა ეკლესიის მიერ აკრძალული ნიკოლოზ კოპერნიკის წიგნი „ციურ სხეულთა ბრუნვის შესახებ“.

ეს იყო ის, რაც ბუნდოვნად მწიფდებოდა თვით ჯორდანოში, რაც გატაცებით სწყუროდა მას, როგორც სწყურია ადამიანს საშინელი ავადმყოფობისაგან განთავისუფლება. განა მთელი კაცობრიობის გონების დაავადება არ იყო ეკლესიის მოძღვრების რწმენა მსოფლიოს აღნაგობის შესახებ? დედამიწა წარმოადგენს მთელი გარემოცული სამყაროს ცენტრს. ის უძრავია. მის გარშემო ბრუნავენ ციური ცხრა კრისტალურად გამჭვივრვალე სფერო და მათზე მიმაგრებული ვარსკვლავები, მთვარე და მზე. მეცხრე სფეროს იქით არის საუზუნო სამეფო, სადაც ბინადრობს თვითონ ღმერთი. მას გარს არტყიან მართალნი, რომელთაც შესევურობენ მოციქული პავლე და გარდაცვლილი პაპები.

კოპერნიკმა მამაცურად დაარღვია ამ სიცრუის არსებითი ნაწილი. მან უდავოდ დაამტკიცა, რომ დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივ.

ჯორდანო ბრუნოსათვის დაიწყო ახალი ცხოვრება, სასიხარულო და გენიალური განჭკვრეტებით აღსავსე. ის მედგრად მუშაობდა თავის თავზე, ბერს კითხულობდა. იგი მთელ ღამეებს ატარებდა ღია ფახჯარაში ვარსკვლავებთან, ცის შესასწავლად, და ბრუნო თავის მასწავლებელზე შორს წავიდა.

კოპერნიკმა ვერ გაბედა ყველა სფეროს მოსპობა. მან დატოვა ერთი სფერო და მასზე უძრავი ვარსკვლავები. იმის იქით თავდებოდა სამყარო. მან ვერ გაბედა შეხებოდა „მარადიულ მეუფებას“ და ტახტზე მჯდომ ციურ მეფეს.

ჯორდანო ბრუნომ პირველმა მიიტანა იერიში ცაზე. მან არსებობის უფლება ჩამოართვა ღმერთს და მთელ მის ციურ ჯალაბს. მან წაართვა პაპს საპატოო ჰაეროვანი საცხედრე და უსაზღვროებამდის გააფართოვა სამყაროს ფარგლები. არავითარი სფეროები! დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრი! უსაზღვრო სივრცეში მკვეთრად განსაზღვრული გზებით დაქროლავს აუარებელი სამყარო თავისი მზეების ირგვლივ.

— რა საუცხოვოდ კაშკაშებს სამყარო, — აღელვებით წაიხურჩულა თავისი აღმოჩენით ელდანაკრავმა ბრუნომ.

განა შესაძლო იყო ასეთ თვალმომჭრელ ქეშმარიტებათა თავის გულში ჩაკვლა?

მონასტრის უფროსების ყურამდის მალე მივიდა ბუნდოვანი ხმები ძმა ჯორდანოს საშიშარი თავისუფალი აზროვნების შესახებ. დანიშნეს ფარული გამოძიება. მან მთელი სიგრძე-სიგანით გამოარკვია, რამდენად დაცემულიყო ეს ურჯულო, რომელმაც ღრუბლებს იქით არსებულ ღვთის ტახტსაც კი დაუპირა აყირავება. ას ოცდაათი საბრალდებლო მუხლი ემუქრებოდა უღმერთოს. ინკვიზიციის საშინელი ხელი ხარბად წაეპოტინა ბრუნოს. ბრუნომ როდი დაიცადა, ვიდრე ინკვიზიცია ხელს წაუჭერდა ყელში, გაიძრო ბერის ანაფორა, გემით გაიპარა და თავს უშველა.

აი აქედან იწყება ნაირნაირი თავდადასავალით მდიდარი მაწანწალური ცხოვრება „სამყაროს მოქალაქისა“, როგორც უწოდებდა იგი თავის თავს, დიდი სწავლულისა და პოეტისა, ეკლესიის მტრისა და თავის მიერ აღმოჩენილ ქეშმარიტებათა მგზნებარე მქადაგებლისა.

იტალიის ყოველ დიდ ქალაქში ხვდებოდნენ ამ დაბალ კაცს, რომელსაც გაცრეცილი მიმქრალი სახე ჰქონდა, წვრილი ბერძნული ცხვირი და ორბიტებში ღრმად ჩამჯდარი თვალები. მისი მგზნებარე სიტყვები მეხივით ხვდებოდა მსმენელებს. ბრუნო ანგრევდა ყოველივეს, რაც სწამდათ, რასაც მიჩვეული იყვნენ. იგი მოუხმობდა ადამიანის გონებას.

— ყველაფერზე უფრო სამარცხვინოა დაჯერების ჩვეულება. იგი ხელს უშლის გონების თავისუფლად განვითარებას, — აღგზნებული ომახიანი ხმით ქადაგებს ეს კაცი, ცალ ფეხზე გაჩერებული, და შავი თმის ბლუჯები ხტის მალალ შუბლზე პატარა, ნაზი სხეულის მძაფრ მოძრაობათაგან.

ინკვიზიციის მარდი ჯაშუშები ყნოსავენ ჰაერს მის ირგვლივ. ისინი თან დასდევენ მას ქალაქიდან ქალაქში. ისინი ემზადებიან დიდ ნადირზე თავდასხმისათვის.

მაგრამ ბრუნომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა უთხრას სამყაროს, უთხრას ისე, რომ საუკუნეებში გაიხმაუროს მის მიერ გამოცხადებულმა აზრებმა. იგი ტოვებს გულით საყვარელ მშობლიურ იტალიას და მთელ დედამიწის ზურგზე იწყებს მოგზაურობას. მისი აღგზნებული ქადაგება ყველგან ამხედრებს მტრებს მის წინააღმდეგ. მას ყველგან დევნიან, ყოველი ადგილიდან აძევენ. ქენივაში სატუსალოში იტანჯება. განთავისუფლების შემდეგ გარბის შვეიცარიიდან საფრანგეთში. ხუთი წლის განმავლობაში ქადაგობს იგი თავის ახალ მოძღვრებას სხვადასხვა ქალაქში, უმთავრესად კი პარიზში იგი ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში, მონაწილეობას იღებს დისპუტში, წერს ლექსებს, სცემს წიგნებს, და უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება მისი აზრები, ახალახალი შესანიშნავი მონაპოვარი მოაქვს მეცნიერებაში.

მაგრამ საფრანგეთიდანაც მოუხდა გაქცევა ამ დაუდგრომელ ადამიანს. მან ინგლისში ამოყო თავი და ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიღო პროფესორის ადგილი. ბრუნო ჯერ შედარებით ახალგაზრდა — იგი ოცდათექვსმეტი წლისაა.

წარმოშობა: ნიუ-ლიორნეა

შეგრძელება

ძველი უნივერსიტეტის მკაცრ კედლებში, სადაც მეცნიერება წამოჩოქებული იყო ეკლესიის წინაშე, გაისმა ჯორდანო ბრუნოს საჯანყო სიტყვები. მგზნებარე იტალიელის შესანიშნავ ლექციებს აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ახალგაზრდები მქუხარედ უწონებდნენ, პროფესორები კუშტად დუმდნენ.

სასწრაფოდ უნდა აეკრათ პირი მწვალებლისათვის, უნდა ეჩვენებინათ, რომ მტკიცე და ურყევია ეკლესიის მამების მიერ ნაკურთხი მეცნიერება.

ინგლისის სახელგანთქმულმა ღვთისმეტყველებმა, ცნობილმა მეცნიერებმა და პროფესორებმა გადაწყვიტეს აილაგმათ ძველი სამყაროს წინააღმდეგ თავბედულოდ აჯანყებული.



ბრუნო ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიწვიეს თავისი მოძღვრების საჯარო დისპუტზე დასაცავად, რაზედაც ის სიამოვნებით დათანხმდა.

უნივერსიტეტის უზარმაზარ დარბაზს არასოდეს არ უხილავს ამდენი მსმენელი. იმდენს სურდა თუნდაც მხოლოდ თვალი მოეკრა ცნობილი მეცნიერისათვის, რომ უნივერსიტეტის მთელი შენობაც კი



ვერ დაიტევდა მათ. გამოსასვლელის წინ ქუჩა მთლად გაიქედა ხალხით და ყველანი ცდილობდნენ უნივერსიტეტის შენობაში შესვლას.

ეს იყო ძველისა და ახალი საუკუნის სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება. ძველი, შესისხლბორცებული სამყაროს საყრდენები შეტორტმანდა. პატარა კაცი გივანტად იქცა. მან გაბედული ხელით ჩამოჭლიჯა საუკუნოებრივი საბურველი ნამდვილ სამყაროს. ის წინ ირხეოდა მოქნილი ტანით და მალეობიდან ესროდა მიჩუმებულ ხალხს უჩვეულო სიტყვებს, და სიტყვები მიზანს ხედებოდა—ზოგს ჟრუანტელი უვლიდა ტანში, ზოგიერთებს სახე ეპანჭებოდათ სიბრაზისაგან, მესამეებს თვალები ენთებოდათ გენიალური აზრის ბრწყინვალე შუქით. არავინ არ იყო გულგრილად. გამხდარმა, ნაზმა იტალიელმა თითქოს თავისი სამშობლოს ცის ნაჭერი მოიტანა თან. განა ტყუილ-შბრალოდ უწოდებდა იგი თავის თავს „მამა—მზისა და დედა—მიწის შვილს“. მან ააჩქარა სისხლის დენა თავისი მსმენელების ძარღვებში.

— ორგანიზმი ეჩვევა შხამს, და ჩვენც ასევე შეგვიჩვევთ ჩვენს შეცდომებს, — ომანიანად ყვიროდა ის და არღვევდა მოძღვრებას ცხრა სფეროს შესახებ.

მან კოპერნიკის ქებათა-ქებით დაიწყო, შემდეგ უამბო მოხიბლულ დარბაზს თავის მიერ აღმოჩენილი ახალი სამყაროს შესახებ. განუზომელი სივრცე, უთვალავი მზე და მათ გარშემო—ციურ სხეულთა ფერხული.

— მიწა არ არის სამყაროს ცენტრი. მიწაც ისეთივე ვარსკვლავია, როგორც სხვა ვარსკვლავებია ცაზე. მე რომ შემეძლოს თქვენი წაყვანა ჩვენი სამყაროს ფარგლებს იქით, იქიდან თქვენ დაინახავდით ისევე იმ ცას, და ვარსკვლავებს შორის ცაზე — ჩვენს დედამიწას-ვარსკვლავს...

— მაშასადამე, ჩვენ ცაზე ვცხოვრობთ?—დაცინვით წამოიძახა ჭალარა მეცნიერმა დარბაზიდან და წინ წამოსწია წაწვეტებული წვერი, თითქოს იმით უნდა განგმიროს გათავებდებული ყბედიო.

— დიახ!—ცხარედ დაიყვირა ჯორდანომ, — მეტი პატივისცემით უნდა მოეკიდოთ თქვენს თავს. ჩვენ ცის მცხოვრებნი ვართ. ცაც ისევე გვეკუთვნის ჩვენ, როგორც დედამიწა, და საჭირო არ არის უსხეულო არსებები დაასახლოთ ცაზე.

— ცის მცხოვრები კი არა, შენა ხარ ეშმაკი ადამიანის სახითა, — შიშითა და სიბრაზით ამოიხროტინა მეცნიერმა, მოსასხამში გაეხვია და მოკუზული ზურგი შეაქცია.

— მიბრძანდით! — მიაყვირა ბრუნომ. — თქვენ არ შეგიძლიათ მეცნიერების დაფასება, ვინაიდან თქვენი მეცნიერება არაფრად არა ღირს, ჩემსას კი ვერასოდეს ვერ გაიგებთ!

სკამებსა და ხალხით გაქედულ გასასვლელებში ჩოჩქოლი შეიქნა. ზოგი ილიმებოდა მოწონების ნიშნად, სხვები გაცხარებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ეს უცხოელი შეურაცხყოფას აყენებს ინგლი-

სის მთელ მეცნიერებას! მაგრამ ბრუნოს ომანიანმა ხმამ კვლავ ყველას ყურადღება მიიპყრო...

— ცაზე ჩვენ ვხედავთ უამრავ ვარსკვლავს, მზეები. მათ ირგვლივ მოძრაობენ ვარსკვლავების სისტემები. ჩვენი თვალებისათვის უჩინარნი, ვინაიდან წარმოუდგენლად შორს არიან ჩვენგან. ესენი ისეთივე პლანეტებია, როგორც ჩვენი. იქაც ცხოვრობენ ცოცხალი არსებები. არა სულეები, ან ღმერთები, არა! ადამიანები! იქნებ ისინი არც კი გვგვანან ჩვენ, მაგრამ მაინც ადამიანები არიან!

ბრუნო იძულებული გახდა შეჩერებულიყო. მას ლაპარაკი გააწყვეტინეს აღმოფოთების, გაციების, შიშის გამომხატველი წამოძახილებით.

— თქვენ ბედავთ და ამტკიცებთ, რომ ვარსკვლავებზე ადამიანები ცხოვრობენ? — დაფარა ხმაურობა წიწკინა ხმამ და სკამზე შეხტა მთლად შავებში გამოწყობილი კაცი. ველური ცეცხლი ენთო მის თვალებში, ასკეტის თვალებში.

— ვამტკიცებ, — წყნარად დაუქნია თავი ბრუნომ და შესაბრძოლებლად მოემზადა.

— მაშ მიპასუხეთ, — დიდის ამბით და კუშტად თქვა იმ კაცმა, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა ხალხს, და დარბაზში სიჩუმე გამეფდა.

— მიპასუხეთ, — გაიმეორა შავებიანმა და მკაცრად გაიშვირა თითი კათედრისაკენ. პირველი კითხვა: თქვენი სამყაროების მცხოვრებნიც ადამისაგან წარმოიშვნენ? და მეორე: მათთვისაც ხომ არ ეცვა ჯვარს ქრისტე?

ბრუნომ წარბები ასწია, ხელები გაშალა და... დაძაბულ სიჩუმეში გაისმა მხიარული გადამღები ხარხარი. სკამებზე მჯდომებმა გაციებით გადახედეს ერთმანეთს.

— ხედავთ, ქუჩაზე შეიშალა, — დარწმუნებით თქვა ვილაკამ ბრბოში.

მაგრამ ბრუნო უკვე აღარ ხარხარებდა.

— ეს იმდენად მოულოდნელი იყო, — მშვიდად განმარტა მან თავისი უეცარი სიმხიარულის მიზეზი, — მე ხომ იმისათვის ვიყავი მზად, რომ სერიოზული შეპასუხება მომესმინა... — მან ზრდილობიანად დაუკრა თავი შავ კაცს:

— თქვენს სათნო ცნობისმოყვარეობას ბერები დააკმაყოფილებენ. სამწუხაროდ, აქ მეცნიერული კამათია.

მანამდის არასოდეს ასე არ უცინიათ ოქსფორდის უნივერსიტეტში, და არა გვერონია ვინმესათვის ისე დაეკრათ ტაში, როგორც ამ გონებასახელი იტალიელისათვის, რომელმაც ესოდენ იოლად და მოხდენილად გააბიბრუა ძველი საეკლესიო მეცნიერება.

მაგრამ ბრუნომ ასწია ხელი, და მისი თვალები კვლავ აენტო აღმაფრენით. დარბაზში სიჩუმე გამეფდა. გაბედული ხაზებით ამთავრებდა ჯორდანო სამყაროს დიადი სურათის მოხაზვას...

— თუკი ესოდენ აღიდებენ კოლუმბს, რომელმაც აღმოაჩინა ქვეყნის ახალი ნაწილი, მაშ რა ეკუთვ-

ნის მას, ვინც პირველი შეიჭრა ცაზე და იქ აღ-
მოაჩინა უთვალავი სამყარო?

ასე დაასრულა ჯორდანო ბრუნომ, როდესაც კა-
თედრიდან ჩამოდიოდა.

უსაზღვრო იყო ეკლესიის და მკაცრი ინგლისელი
საზოგადოების განრისხება.

ჯორდანო ხედავდა, რომ ბევრის თვალეში
დაანთო ცეცხლი, მაგრამ მასთან მივიდა მხოლოდ
რამდენიმე მამაცი.

— მე თავბრუ მესხმის,—უთხრა მას მაღალმა,

(გაგრძელება იქნება)

კობტა ტანის ყრმამ და მოწიწებით შეეხო მის კამ-
ზოლს.— თქვენი მეოხებით მე დაებორიალობდი სიგ-
რცეში, რასაც არც ცენტრი აქვს, არც დასაწყისი,
არც დასასრული. ეს საშინელებაა, მაგრამ მე ნუშმს
თქვენი.

— ნუ-კი გწამთ, შეამოწმეთ,—მკაცრად უპასუხა
ჯორდანომ და მეგობრულად მოუჭირა ხელზე ხე-
ლი.— რწმენა გონების მტერია.

თარგმანი შ. თაბუკაშვილისა.

რუსული ლიტერატურის კლასიკოსები

ი. გონჩაროვი

ივანე ალექსანდრეს ძე გონჩაროვი
დაიბადა სიბირსკში, 1812 წლის 18 ივნისს, დიდი
ვაჭრის ოჯახში. პირველად ივ. გონჩაროვმა სწავლა
დაიწყო კერძო პანსიონში, თავადთა შვილებთან ერ-
თად, შემდეგ შევიდა მოსკოვის კომერციულ სასწავ-
ლებელში. აქ უმეტესად შეძლებული ვაჭრების შვი-
ლები სწავლობდნენ. ამ სასწავლებლის დამთავრე-
ბის შემდეგ 19 წლის ახალგაზრდა გონჩაროვი შედის
მოსკოვის უნივერსიტეტში და განსაკუთრებული
გულისყურით ეწაფება რუსულ და დასავლეთ ევრო-
პის ლიტერატურას.

მხატვრული სიტყვის შედეგები, დიდ ოსტატთა
მიერ შექმნილი უკვდავი სახეები ბავშვობიდანვე იტა-
ცებდა ახალგაზრდა გონჩაროვს და იგი ემზადებო-
და სამწერლო მოღვაწეობისათვის. მაგრამ უნივერ-
სიტეტის დამთავრების შემდეგ ივ. გონჩაროვი საუ-
წყებო მოხელედ ხდება სიბირსკის გუბერნატორის
კანცელარიაში.

ეს სამსახურებრივი მოღვაწეობა მეტად დიდხანს
გაგრძელდა, რამაც ხელი შეუშალა მომავალ დიდ
ბელეტრისტს ახალგაზრდობაშივე დაეწყო ლიტერა-
ტურული მუშაობა და ფართედ გაეშალა ის შესანი-
შნავი ნიჭი, რომელსაც თავიდანვე ამჟღავნებდა.

სამსახურებრივი მუშაობის პერიოდში ივ. გონ-
ჩაროვი ემზადებოდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვ-
ლისათვის. იგი ყოველმხრივ სწავლობდა ცხოვრებას
და იარაღდებოდა ეპოქის დამახასიათებელი სოცია-
ლური ხასიათის პრაქტიკული მაგალითებით.

სალიტერატურო მოღვაწეობის ასპარეზზე ივ.
გონჩაროვი გამოვიდა 40-იან წლებში, საშუალო ასა-
კში მყოფი, ცხოვრებას ღრმად გაცნობილი და ჩა-
მოყალიბებული მსოფლმხედველობის მქონე.

ივ. გონჩაროვის დიდი მხატვრული ნიჭი, ეპოქის
შეგრძნობის უნარი და მოვლენათა განზოგადოების
ინტელექტუალური ძალა გამოუმჟღავნდა მის რომა-
ნებში „ჩვეულებრივ ისტორიაში“, „ობლომოვში“ და



სხვ. ეს რომანები დიდი იდეური სიღრმითა და
მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული.

„ობლომოვით“ მსოფლიო ლიტერატურას შეე-
ძინა ახალი მხატვრული სახეები, რომლებმაც დიდი
გავლენა იქონიეს სხვადასხვა ქვეყნის მწერლობაზე.

გონჩაროვის პირველმა სერიოზულმა რომანმა
„ჩვეულებრივმა ისტორიამ“ რუსეთის ლიტერატუ-
რულ საზოგადოებაში საყოველთაო მოწონება გამო-
იწვია. დიდი კრიტიკოსი ბელინსკი აღტაცებული
იყო ახალი ნიჭის გამოჩენით. გონჩაროვი რამდენ-
იმე ლამის განმავლობაში უკითხავდა ამ რომანს ბე-
ლინსკის და განცვიფრებაში მოჰყავდა იგი რომანის
შესანიშნავი ადგილებით. რომანით მოხიბლული ბე-
ლინსკი ხშირად წამოხტებოდა ხოლმე სკამიდან და
სიხარულით გაბრწყინებული თვალებით მიაჩერდე-
ბოდა ავტორს.

„გონჩაროვის რომანმა,—წერდა ბელინსკი,—გა-

უგონარ წარმატებას მიღწეო. ყველა აზრი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს...ნამდვილად შესანიშნავი ტალანტია“.

გონჩაროვის ნაწარმოებში ბელინსკის მოსწონდა ავტორის მხატვრული ოსტატობა, სისადავე და ბუნებრივობა. „კითხულობთ რა მას,—ამბობდა იგი,—გგონიათ, რომ კი არ კითხულობთ, არამედ ისმენთ ოსტატურად ნაამბობს“.

უფრო დიდი იყო ის შთაბეჭდილება, რომელიც „ობლომოვმა“ მოახდინა. „ობლომოვმა“ მიიქცია იმათი ყურადღებაც კი, რომლებიც ნაკლებად თანაუგრძნობდნენ ავტორს.

„ასეთი გამარჯვების საიდუმლოება,—წერდა კრიტიკოსი დობროლოუბოვი,—მდგომარეობს არა იმდენად შინაარსში, რამდენადაც ავტორის მხატვრული ტალანტის ძალაში“. მწერალი ტურგენევის თქმით კი „ვიდრე იარსებებს თუნდაც ერთი რუსი, მანამდის ეხსომებათ ობლომოვი“.

დიდ პროლეტარულ მწერალ მაქსიმ გორკისაც ძალიან უყვარდა ივ. გონჩაროვი, მოსწონდა მისი ნაწერები. „მიყვარს გონჩაროვი,—ამბობდა გორკი,—იგი მშვიდად, მშვენივრად და დამაჯერებლად წერდა“.

ივ. გონჩაროვმა ის იდეები, რომლებიც მას აწუხებდა თავის რომანებში, სადაც და მხატვრული ოს-

ტატობით გააშუქა. ყოველი სახე მდიდარი ფაქტებით და ძლიერი ფსიქოლოგიური მომენტებით გამოკვეთა. ამიტომ არის, რომ შეუძლებელია გონჩაროვის რომელიმე ნაწარმოების წაკითხვა ისე, რომ მისი ნიციადოთ შესაბამი ეპოქა მთელი თავისი უარყოფითი მხარეებითა და ტიპებით.

ივ. გონჩაროვი თავისი მსოფლმხედველობით კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისზე იღვანო. იგი უარყოფდა ფეოდალურ ურთიერთობას, მაგრამ უარყოფდა არა მთლიანად, არამედ ფეოდალიზმის საუკეთესო—მისი აზრით—მხარეების კაპიტალიზმში გადაზრდით.

მიუხედავად ამისა, გონჩაროვს კარგად ესმოდა, რომ თავად-აზნაურობაში ცოტაა ის, რაც ცხოვრების ძალას წარმოადგენს—ენერჯია, შრომა, საქმიანობა. მან ყველა თავის ნაწარმოებში ბოლომდის გააშვიშვლა ფეოდალიზმის უარყოფითი მხარეები.

გონჩაროვს მეცხრამეტე საუკუნის რუს ბელეტრისტთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი ყველაზე დიდი ოსტატია სატირიკული რეალისტური რომანის დარგში. მისი „ობლომოვი“ ისეთი დიდი მხატვრული ოსტატობით არის დაწერილი, რომ მას დღემდის არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა და დღესაც დიდი ინტერესით იკითხება.

ბ. ა.—ობი



დავერცხლილი ველები ნახად ილიმებიან,
ოქროს ქვები ბრწყინავენ ნარინჯოვან ფოთლებში,
მზის სხივები ცელქობენ, ტოტებს ეფინებიან,
შაქრის ნექტარს ასხამენ ზურმუხტისფერ
ყლორტებში.

როცა დიდი მნათობი სხივებს მიწას დააფრქვევს,
მაშინ ხელში კალათით ქალი ბაღს ესტუმრება,
და მის ოქროს კულულებს ნიაფი რომ შეარხევს,
გაიღიმებს და იტყვის: „რა კარგი ხარ, ბუნებავ!“

მოგწონს, ქალო, ბუნება და ნარინჯის ველები?
შენ ოქტომბრის შვილი ხარ და არ გემახსოვრება:
ამ ადგილზე რომ დგებარ—დაცურავდნენ გველები,
ჭაობიდან ისმოდა ბაყაყების გოდება...

დღეს ველებს რომ გახედავ—ბრწყინავს ოქროს
ნაყოფი,

ბაღებიდან გამოდის დატვირთული ურმები,
ქალო, კრიფე ნარინჯი, გაიხარე ამ ყოფით,
რომ ედემად, გადიქა ეს ადგილი ურგები...

ბ. ურუშაძე



იშვიათია ქვეყანა, სადაც დათვებს თავიანთი ბუნაგები არ ჰქონდეთ გამართული და ასევე იშვიათია ხალხი, რომელიც არ დასცინოდეს თავის ზღაპარ-თქმულებებში გოლიათ დათვებს. უხეში, ბანჯგვლიანი, უცნაურად მობაჯბაჯე, ბურღლუნა დათუნია თავისი საარაკო უგუნურობით და სიმხდალით განთქმულია მთელ ქვეყანაზე.

მას თავის დიდ ტანთან და ღონესთან ერთად შესაბამი მოხერხება და სიმამაცე რომ გააჩნდეს, წარმოუდგენლად დიდ ზიანს მოუტანდა ადამიანებს. მართლაც, ამ ცხოველს, რომელსაც თანაბარი ძალით ძალუძს ხეზე, მდინარეში და ხმელეთზე ნავარდი, აღჭურვილია მტაცებელი ცხოველისათვის საჭირო ყველა უპირატესობით, გადაჭარბებული სიმხდალე ხელს უშლის ფართოდ გაშალოს მტაცებლობის სარბიელი. ცხენი, თხა, ვირი, ირემი, დონბა,—აი ცხოველები, რომელთაც ის გაბედულად თავს ესხმის, მაგრამ გარეულ ღორს კი ხშირად გვერდს უვლის უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. კიდევ უფრო შეგნებულად გაუბრბის ადამიანთან პირისპირ შეხვედრას. რა თქმა უნდა, ეს აიხსნება არა იმდენად კეთილშობილებით, რამდენადაც სიმხდალით. როდესაც დათვი ადამიანს მოულოდნელად აწყდება, შემკრთალი უმაღვე ყალყზე დგება და აღელვებული გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ადამიანის მოძრაობას. თუ უკანასკნელი გაბედული აღმოჩნდება და მისკენ გაიწევის, ის უმაღვე გულგახეთქილი მოკურცხლავს და სადმე ჩირგვებში მიიმალება, მაგრამ თუ, პირიქით, მოწინააღმდეგე გაქცევას არჩევს, ის მაშინვე დაედევნება გაქცეულს და მეტწილად ულმობლად ანადგურებს.

დათვი არ არის ისე მძვინვარე და სასტიკი სისხლისმსმელი, როგორც ვეფხი ან აფთარი. გარდა ხორცეულისა, ის სიამოვნებით შეექცევა ერთგვარ ბალახს, ტყის თაფლს და სხვა. თაფლი ძალიან უყვარს დათუნის, ქურდულად შეცოცდება სადმე ხეზე და მიირთმევს სკაში დაგროვილ თაფლს. ხშირად იაფად არ უჯდება ეს წუწკობა: ფუტკრები სასტიკად სჯიან მუქთახორა დოყლაპიანს. სასაცილო სანახავია ამ დროს ჩვენი ბანჯგვლიანი ქურდი. მისი ბურღლუნი და ყვირილი ცას სწვდება. ამ სასჯელს ის ვერასოდეს ვერ იყენებს გაკვეთილად, ანდა რა ქნას, როცა თავდავიწყებამდის უყვარს ტკბილი თაფლი!

დათვი კარგ მეთევზედაც ითვლება, ხშირად მიდის მდინარეში. როგორც არა მარტო თევზებს, იხვებსაც კი იჭერს და ჭამს.

ზაფხულში და შემოდგომაზე ის მეტისმეტად სუქდება, ზამთარში ჩაეგდება ბუნაგში და მომარაგებული ქონი მთელ ზამთარს ჰყოფნის.

დათვი საზოგადოდ იშვიათ მხიარულ და გართობის მოყვარულ ცხოველად ითვლება. მშვენივრად დახტის და დათამაშობს, სასაცილო მალაყებს აკეთებს, დაცოცავს ხეზე; მეტადრე ბევრს ცელქობს პატარა ბელბის აღზრდის დროს. ის სიყვარულით თავს დასტრიალებს თავის შვილებს, ტანს ჰბანს, ხეზე ცოცავს, მტაცებლობას და თავდაცვას აჩვენებს. მშობლიური გრძნობა ძუ დათვს გმირად ხდის. აბა, გაბედეთ მის სამფლობელოში შეჭრა, მშვიდი და ფრთხილი დათვი თქვენ გაჩვენებთ თავგანწირულების ბრწყინვალე მაგალითს.

დათვის მოკვლა ან ცოცხლად დაჭერა გამოცდილ მონადირეთათვის არ არის ძნელი. პატარა დათვის ბელი ადვილად ეჩვევა ადამიანს, მაგრამ მისი სრული მოშინაუბრება ფუჭი ოცნებაა. რა პირობებშია არ უნდა ჩაეყენოთ, მასში მხეცურ ალღოს ვერ ჩავეკლავთ, ამიტომ მასზე სავსებით მინდობა ყოველთვის სახიფათოა. დათვის ბელი ფრიად საყვარელი არსებაა. მის გარშემო ყოველთვის თავმუშკავებელი სიცილი-ხარხარია ამტყდარი. პაწაწინა დათუნია სასაცილოდ იპარავს სხვადასხვა ნივთს, იღებს შეშას და ანგარიშმიუტეველად, უკანა თათებზე დამდგარი, სადღაც მიჩანჩალავს.

დათვებმა ავადმყოფობაც იციან. მოწინაურებული დათვი ძნელი მოსაველეია ავადმყოფობის დროს. ტკბილეს მჩვეულ დათუნას ნებაყოფლობით უსიამოვნო წამლის მიღებაზე ვერ დაიყოლიებთ. ასეთ შემთხვევაში მას თოკით მაგრად ბორკავენ, პირს ძალით უღებენ და ამრიგად აძლევენ წამალს. არაფერი მას ისე არ შეურაცხყოფს, როგორც ამგვარი მოპყრობა, მის გაბრაზებას საზღვარი არ აქვს.

ყველა დათვი არ არის ერთი ზნე-ბუნებისა. ქვეყნად სხვადასხვა ჯიშის დათვები არსებობენ, როგორც მაგალითად: თეთრი, ზანგელა, რუხი, შავი, მალაის, ამერიკის დათვები. თეთრი და ზანგელა დათვები ვეება ტანის და შედარებით სათნო ბუნებისანი არიან. ე. წ. ამერიკის დათვი მომცრო ტანისაა, მაგრამ ფრიად ავია.

ადამიანები დათვებზე ხშირად ნადირობენ. დათვების ქონთა და ხორცი კონსერვები მზადდება. მისი ტყავიც საკმაოდ ძვირად ფასობს.

ვლ. კახიანი




გეომეზრია ასანთის ლეკებით.


აი ასანთის ლეროებისაგან გაკეთებული ისარი. თქვენს წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას. ამ ამოცანას გადაწყვეტს ის, ვინც ჩაუჯდება და გულდასმით იფიქრებს.

ისარი შედგება ასანთის 16 ლერისაგან. სცადეთ გადასვათ ასანთის 8 ლერი ისე, რომ მიიღოთ 8 თანაბარი სამკუთხედი.

ახლა სცადეთ მეორე ამოცანის გადაწყვეტა. ამავე ისრიდან გადასვით ასანთის 7 ლერი ისე, რომ მიიღოთ 5 თანაბარი ოთხკუთხედი.



ჩასვით ციფრები.



ამ ფიგურის პატარა წრეებში ჩასვით ციფრები 1-დან 13-მდის ისე, რომ იმ ციფრების ჯამი, რომლებიც მდებარეობენ იმ ხაზებზე, სადაც ორ-ორი ხაზია გავლებული, თანაბარი იყოს. ამას გარდა ციფრების ჯამი თანაბარი უნდა გამოვიდეს ყველა დიაგონალზეც (სადაც თითო ხაზია გავლებული), მხოლოდ მათი ჯამი განსხვავებული უნდა იყოს პირველისაგან.

30 სი ხელია?

ძველად და ახლაც უკულტურო ხალხები, რომლებმაც წერა არ იციან, ხელის მოწერის მაგივრად ხშირად ხმარობენ მარჯვენა ხელის ცერის ანაბეჭდს.

„ხელის მოწერის“ მსურველი ცერს ჯერ საღებავით გაქედნთილ ბალიშზე დააჭერს, შემდეგ კი ქალაღზე. ქალაღზე აღიბეჭდება სპირალებისა და რგოლების მსგავსი უწვრილესი ხაზები.

ერთი შეხედვით გეგონებათ, რომ ეს ხაზები ყველას ერთნაირი აქვს, მაგრამ თუ ყურადღებით დააკვირდებით, ყოველთვის შეიძლება შენიშნოთ განსხვავება ხაზების მიმართულებასა და ფორმაში, ან და მათ რიცხვში.

გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ყოველ ადამიანს ეს ხაზები სხვადასხვანაირი აქვს და ბავშვობიდან ღრმა სიბერემდის უცვლელია. ამიტომ თითის ანაბეჭდი ითვლება პირადობის საიმედო მოწმობად.

ეს თამაში—„ვისი ხელია?“—ოთახის თამაშია. თამაში მიმდინარეობს ასე: შუშაზე უნდა წაუსვათ შტემპელის ან სტამბის საღებავი. შემდეგ მოთამაშენი „პასპორტზე“ (მოგრძო ქალაღზე) აკეთებენ ცერის ანაბეჭდებს, თვითნებულ ანაბეჭდს გვერდზე მიეწერება იმისი სახელი, ვისაც ეკუთვნის. ანაბეჭდებს თვითნებული მოთამაშე აკეთებს აგრეთვე ცალკე ქალაღის ნაჭრებზეც, იმდენს, რომ ყველა მოთამაშეს ჰქონდეს თავისი ამხანაგების ანაბეჭდების კომპლექტი. მოთამაშენი დასხდებიან მაგიდასთან და ნიშნის მიცემის შემდეგ დაიწყებენ ანაბეჭდების გარჩევას. ანაბეჭდებს აღარებენ პასპორტს და ყველა ანაბეჭდზე აწერენ იმის სახელს, ვისიც გონიათ იგი; ვინც ყველაზე მალე და უშეცდომოდ გაარჩევს ანაბეჭდებს, ის იქნება გამარჯვებული.

ამ თამაშის დროს დიდ დახმარებას გაგიწევთ გამაღიებელი შუშა.

პასუხები ჟურნალ ჰიონარიის № 9-ში მოთავსებულ გ ა ს ა რ თ ო ბ ე ბ ზ ე


1. მოახსიარეთ კუხავს

გუშავი უნდა წავიდეს შემდეგი გზით:
1—3—4—5—6—2—1—3—6—3—5—2
ამრიგად გუშავი გაივლის ყველა სახლის გვერდით

ორჯერ, მაგრამ არც ერთხელ არ მოუხდება ორჯერ გავლა ერთ და იგივე გზაზე.


2. ათი სკამი

სკამები უნდა დალაგდეს შემდეგნაირად



3. სხარეთ

პასუხი ნაჩვენებია ნახატზე





სათამაშოები კვირსხის ნაჭუჭებისაგან

როდესაც სახლში ტაფამწვარს გააკეთებენ სთხოვეთ დედას, რომ კვერცხის ნაჭუჭი არ გასტეხოს, არამედ კვერცხის თავსა და ბოლოში ნემსის წვერით გაკეთებული ნახვრეტებიდან დასცალოს ის ცილისა და გულისაგან. ცარიელ ნაჭუჭებიდან შეიძლება მრავალი საინტერესო სათამაშოს გაკეთება.

აი თქვენ აქ ხედავთ კვერცხის ნაჭუჭებისაგან გაკეთებულ ბუს და წეროს. ასევე შეგიძლიათ გააკეთოთ სხვა ფრინველები და ცხოველებიც. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ნაჭუჭის, შესაფერისად შეღებვა და ზოგიერთი ნაწილების (ფეხების, ყურების და სხვ.) მიწებება (ეს ნაწილები კეთდება ქაღალდისა ან ბამბისაგან) ზოგიერთ მათგანს შეიძლება აგრეთვე თვლები მძივისაგან გაუკეთდეს. ნაჭუჭის შეღებვა შეიძლება ჩვეულებრივი საღებავებით.

